ახალგაზრდებმა იმედი უნდა გაამარათლონ

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 4 აპრილი.

“დინამო” (თბილისი) – ცსკა 1:1 (0:1).

“დინამო”: გოგია, ხიზანიშვილი, ჭელიძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, ძოძუაშვილი (ჩივაძე), მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფვიანი, ჩელებაძე.

ცსკა: ასტაპოვსკი, საუხი, შვეცოვი, სოკოლოვი, კოლპოვსკი, ნიკონოვი, ჩესნოკოვი, კოპეიკინი, ანტონოვი, მოროზოვი, ა. კუზნეცოვი.

მსაჯი: ა. ივანოვი (ლენინგრადი).

როცა “ლელოს” რედაქციამ მთხოვა დამეწერა 4 აპრილის მატჩის რეზენზია, ცოტა არ იყოს, შევყოყმანდი. ჩემპიონატის პირველი ოფიციალური მატჩი ფეხბურთელისთვის სათამაშოდაა რთული, მაყურებლისთვის – საცქერლად და რეცენზენტისთვის – საანალიზოდ. ზამთრის საფეხბურთო “ძილის” შემდეგ ბევრი რამ უცხო და უჩვეულო ჩანს, ფორმაში არავინაა შესული – არც მოქმედი პირები, არც აუდიტორია.

თამაშის მსვლელობაში ცალი თვალი მაყურებლისკენ მქონდა, ვაკვირდებოდი მათს რეაქციას და ბევრს უკმაყოფილებას უფრო ვამჩნევდი, ვიდრე სიამოვნებას. აღტაცებული არც მე ავმდგარვარ ტრიბუნიდან, მაგრამ ზედმეტი სკეპტიციზმი არ გამჩენია. ჩემი აზრით, თბილისის “დინამო” ურიგოდ არაა მომზადებული სეზონისთვის, ცუდად მას არ უთმაშია.

პირველი მატჩი, როგორც ზევით ვთქვით, მუდამ გარკვეულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. იგი შეუდარებლად უფრო რთულია, ვიდრე საწვრთნელი შეხვედრები, ფეხუბრთელები სრულად ვერ ავლენენ თავიანთს შესაძლებლობებს, მოსდით ისეთი შეცდომები, რომლებიც შუა სეზონში მათთვის დაუშვებელია. მე კარგად მახსოვს საკუთარი პირველი მატჩები, ნერვიულობა, შეუთანხმებლობა ახალ პარტნიორებთან, უზუსტობები, ლაფსუსები.

სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ განვლილ მატჩს. შედარებისთვის გავიხსენე შარშანდელი I ტურის მატჩი მოსკოვის “ლოკომოტივთან” და ის დასკვნა გამოვიტანე, რომ დინამოელები ახლა გაცილებით უკეთ თმაშობდნენ, ვიდრე მაშინ.

პირველი, რაც ყველაზე შესამჩენვია, ისაა, რომ თბილისელებმა ფიზიკური მიმზადებით კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. გუნდმა დიდი დატვირთვით, მაღალი ტემპით ითამაშა, ბევრს მოძრაობდა, ენერგიას არ იშურებდა და მატჩის დიდი ნაწილი, დაახლოებით 70 წუთი, შეტევაში გაატარა, ბევრი კრიტიკული მომენტი შეუქმნა მოპირდაპირე კართან, სადაც ცსკა–ს დაცვას და მეკარე ასტაპოვსკის მძიმე სამუშაო ჰქონდათ. გაიხესენეთ ის მომენტები, რომლებიც შეექმნათ ყიფვიანს, ჩელებაძეს, გუცაევს. ყოველი ეს მომენტი გოლის გატანის რეალური შესაძლებლობა იყო და, თუ ისინი გამოუყენებელი დარჩა, ეს მხოლოდ პირველი მატჩის მეტისმეტად დაძაბული ატმოსფეროთი უნდა ავხსნათ.

დავსვათ საკითხი ასე: ვინ ჯობდა ამ თამაშში – “დინამო” თუ ცსკა? ეჭვი არ მეპარება – “დინამო”. მართალია, იმ მოულოდნელმა გოლმა, რომელიც ჩესნოკოვმა გაიტანა მე–3 წუთზე, ცოტა ხნით არეულობა შეიტანა თბილსიელთ რიგებში, მაგრამ შემდგომ თამაში დალაგდა, ურთიერთმოქმედება მოწესრიგდა და შეტევას

სისტემატური ხასიათი მიეცა. თუ არ ვცდები, არმიელებმა ტაიმის დამთავრებამდე მხოლოდ ერთხელ შეძლეს კარში დარტყმა, მასპინძლებს კი ბურთის გატანის რამდენიმე აშკარა შანსი ჰქონდათ.

უპირატესობა მეორე ტაიმშიც "დინამოს" მხარეს იყო, სტუმრები ღრმა დაცვაში მოქმედებდნენ და ორიოდე მომენტი მხოლოდ მაშინ შექმნეს, როცა ანგარიში გათანაბრდა. სწორედ მაშინ მოუხდა გოგიას ორი ძალიან ძნელი ბურთის აღება. საპასუხო გოლი ყიფიანმა 79–ე წუთზე გაიტანა. 11–მეტრიანი საჯარიმო მან ვერ დაარტყა ისე, როგორც ეს "შტატიან" პენალტისტს მოეთხოვება, მაგრამ ასტაპოვსკის მიერ მოგერიებულ ბურთს პირველმა მიუსწრო და ამჯერად უკვე ოსტატურად გააკეთა საქმე – 1:1.

არ მინდა ვინმემ ისე გამიგოს, თითქოს მე ვარდისფერი სათვალით ვუყურებდი თამაშს. არა. მოსაგვარებელი გუნდში ჯერ კიდევ ბევრი რამაა. თავდამსხმელები, მაგალითად, მუდამ ვერ პოულობდნენ შეტევის სწორ გაგრძელებას, ფერხდებოდნენ, გადამწყვეტი დარტყმებისას უზუსტობას იჩენდნენ, ჯგუფდებოდნენ, კარგავდნენ ბურთს. მცველებმა ძირითადად კარგად გაართვეს თავი მეტოქის კონტრიერიშების უვნებელყოფას, თუმცა შეუთანხმებლობის ელემენტები მაინც იყო.

უმთავრესი პრეტენზიები გვაქვს ნახევარდაცვის რგოლის მიმართ. აქ ისევ ზედმეტად ყოვნდებოდა ბურთი, გადაცემები უზუსტო იყო. კარგ პოზიციაში მყოფი, გახსნილი პარტნიორი ხშირად ამაოდ ელოდა მოწოდებას, კომბინაციები შუა მინდორშივე იშლებოდა, სხვადასხვა ხასიათის მანევრები ერთფეროვნად, შაბლონურად სრულდებოდა.

მინდა აღვნიშნო, რომ გუნდში სათანადოდ არაა დამუშვებული სტანდარტულ მდგომარეობათა გათამაშება. არმიელთა მხარეს მრავლად დანიშნული საჯარიმო დარტყმები საფრთხეს ვერ ქმნიდა და უნაყოფოდ იკარგებოდა.

თბილისის "დინამოში" ახლა საკმარისად არიან ნიჭიერი, პერსპექტიული ახალგაზრდები, რომლებიც კვალიფიციურად, მაღალ დონეზე თამაშობენ. ამ ახალგაზრდებს უნდა ვენდოთ უფრო თამამად, გაბედულად. ისინი აუცილებლად გაამართლებენ იმედს.

შარშანდელთან შედარებით პროგრესი გუნდში უდავოდ იგრძნობა. პირველი მატჩის ხარვეზები სასწრაფოდ უნდა მოისპოს, რათა დინამოელებმა სტარტზევე ირწმუნონ თავიანთი ძალა და სეზონი მაღალ დონეზე ჩაატარონ.

ამ მატჩში დაწესებული იყო სპეციალური პრიზები ორივე გუნდის საუკეთესო მოთამაშეებისთვის, ისინი გადაეცათ ბ. კოპეიკინს და ვ. გუცაევს.

გ. გაგუა, სპორტის დამსახურებული ოსტატი.
"ლელო", 6 აპრილი, 1976 წ.